ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2835989

ნომერი: AR1438156

თარიღი : 07.09.2016

გაცემის თარიღი : 14.09.2016

გაცნობის თარიღი : 15.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სადგური ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მერაბი დოლაბერიძე პ/ნ 01017005368
- ქ.თბილისი, ფურცელაძის ქ. #16

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "მნათობი" კოდი: 208143524

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოხრეშილი გზის მოწყობის და I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების (კარის ღიობების მოწყობა) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, სადგური ლილო, შპს "მნათობი"–ს კუთვნილი მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.19.15.005.013) და მის მიმდებარედ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოხრეშილი გზის მოწყობის და I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების (კარის ღიობების მოწყობა) განხორციელების შესაძლებლობას. თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტებს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მმუნიციპალიტეტის სსიპ “ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს "მნათობი"–ს კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.19.15.005.013; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან– რეგ. N882016401453 21/07/2016წ. არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, სიტუაციური გეგმა, ქონების ტანხმობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, სადგური ლილო, შპს "მნათობი"–ს კუთვნილი მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოხრეშილი გზის მოწყობის და I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების (კარის ღიობების მოწყობა) განხორციელების შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.